საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე გოჩა სევერიანის ძე

გ. კაპანაძე

კაპანაძე გოჩა სევერიანის ძე (დ. 29. XI. 1966, ზესტაფონი), თეატრის მსახიობი და რეჟისორი. 1986 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1993 – პარიზის პ. ბრუკის საერთაშ. თეატრ. ცენტრი. 1986-იდან არის შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობი და რეჟისორი, 1993-იდან– თეატრისა და კინოს სახელმწ. უნტის პედაგოგი, 2005–10 – თბილ. ჰ. ალიევის სახ. აზერბაიჯანული დრამ. თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 2010-იდან – რუსთავის მუნიციპალური თეატრის, ხოლო 2014-იდან – ცხინვალის ი. მაჩაბლის სახ. სახელმწ. პროფ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული სპექტაკლები: რუსთაველის თეატრში – ფ. გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი", ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი", რ. ჰარვუდის „მოხუცი ჯამბაზები" და სხვ.; თავისუფალ თეატრში – ევრიპიდეს „მედეა", რ. გაბრიაძის „სამოთხის ჩიტი", ფ. გ. ლორკას „სისხლიანი ქორწილი"; რუსთავის თეატრში – დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", ე. დე ფილიპოს „მილიონერი ნეაპოლი" და სხვ.; აზერბაიჯანულ თეატრში – ქ. აბდულას „ერთი, ორი, სამი...", გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი", ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა" და სხვ.; ცხინვალის თეატრში – მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების", „კვაჭი კვაჭანტირაძის", ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" სცენური ინტერპრეტაციები. კ-ის მიერ თეატრში განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია ჰამლეტი (უ. შექსპირის „ჰამლეტი", რეჟ. ა. ვარსიმაშვილი; სახელმწ. პრემია; 2000), არისტო, ცხენი (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი"; რეჟ. გ. ჟორდანია). კ-ის რეჟისურით განხორციელებულ სპექტაკლ „მარიამ სტიუარტს" ვაიმარის

XV საერთაშ. თეატრ. ფესტივალზე (გერმანია) მიღებული აქვს გრანპრი. შესრულებული აქვს როლები შემდეგ ფილმებში: "ბესამე" (რეჟ. ნ. ახვლედიანი, 1989), „სტუმრები" (რეჟ. დ. ცინცაძე, 1991), „გარიგება" (რეჟ. ზ. კოლელიშვილი, 2011) და სხვ. დადგა რამდენიმე სპექტაკლი გერმანიაში, საბერძნეთში, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში.

თ. კახიანი